ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, რესპუბლიკის მთავარი საასპარეზო — თბილისის „დინამოს" ახალი სტადიონი — კარს უღებს მაყურებლებს, სპორტსმენებს!



ა. გურასაშვილის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 190
(5740)

25 სექტემბერი, შაბათი.
1976 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქდესის ცნობა

„სოიუზ-22" კოსმოსურმა ხომალდმა წარმატებით დაამთავრა ფრენა

1976 წლის 23 სექტემბერს დედამიწაზე დაბრუნდა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-22", რომლის ეკიპაჟში შედიოდნენ ხომალდის მეთაური ვალერი ბიკოვსკი და ბორტინჟინერი ვლადიმერ აქსიონოვი.

„სოიუზ-22" ხომალდის დასაშვები აპარატი მოსკოვის დროით 10 საათსა და 42 წუთზე რბილად დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში, ქალაქ ცელინოგრადის ჩრდილო-დასავლეთით 150 კილომეტრზე. კოსმონავტები ბიკოვსკი და აქსიონოვი თავს კარგად გრძნობენ.

„სოიუზ-22" პილოტირებულმა კოსმოსურმა ხომალდმა მთლიანად შეასრულა ფრენის ამოცანები, რომელიც მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამით მოეწყო. რვადღიანი ფრენის დროს ეკიპაჟმა გადაიღო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დედამიწის ზედაპირის შერჩეული უბნების ფოტოსურათები. გადაღება მოეწყო ექვსი სპექტრული დიაპაზონით ფოტოაპარატურის მეშვეობით, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპეციალისტებმა შეიმუშავეს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო საწარმოში „კარლ ცეის იენაში" დაამზადეს წარმატებული ერთობლივი ექსპერიმენტი ხელს შეუწყობს კოსმოსიდან სახალხო მეურნეობის ინტერესებისთვის დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-გეოგრაფიული მახასიათებლების შესწავლის მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდებისა და საშუალებების შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას.

ფრენის განმავლობაში კოსმონავტებმა ვ. თ. ბიკოვსკიმ და ვ. ვ. აქსიონოვმა შეასრულეს დედამიწისირგვლივი კოსმოსური სივრცის ფიზიკურ მახასიათებელთა კვლევის მთელი რიგი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები და ცოცხალ ორგანიზმებზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შემდგომი შესწავლის სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები.

„სოიუზ-22" ხომალდის სისტემები და აპარატურა ფრენის ყველა ეტაპზე ნორმალურად მუშაობდა.

ხომალდის ფრენას საიმედოდ უზრუნველყოფდა დედამიწის საკომანდო-საზომი კომპლექსი, რომელშიც შედის ფრენის მართვის ცენტრი, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემები. ფრენის დროს მიღებულ მონაცემებს ამუშავებენ და სწავლობენ.



მსოფლიო თასის პირველი სტარტი

თქვენს წინაა მძლეოსანთა ახალი უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრების — მსოფლიოს თასის გათამაშების ემბლემა. ტურნირი გაიმართება გაისად, 2-4 სექტემბერს დიუსელდორფის სტადიონზე. ასპარეზობის პროგრამაშია ვაჟთა 20 და ქალთა 14 ნომერი. არ ჩატარდება შეჯიბრებები მხოლოდ სპორტულ სიარულში, მარათონში, მრავალჭიდში. თასის გათამაშებაში დაიშვება კონტინენტებისა და ქვეყნების ვაჟთა და ქალთა 10-10 გუნდი — ევროპის სამი ქვეყნის ნაკრები, რომლებიც ჩვენი კონტინენტის 1977 წლის თასის გათამაშებაში დაიკავებენ საუკეთესო ადგილებს და ერთი გუნდიც შედგენილი ძველი სამყაროს დანარჩენი ქვეყნების სპორტსმენისგან, აგრეთვე, აფრიკის, აზიის, ავსტრალიისა და ოკეანის ნაკრები კოლექტივები. ამერიკის კონტინენტიდან გამოვა აშშ-ს ნაკრები და ჩრდილოეთი, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ნაკრები კოლექტივი.

ასპარეზობის ყოველ სახეობაში ყოველი გუნდიდან სტარტზე გამოვა ერთი მონაწილე. პირველი ადგილის მოხვეჭისთვის გუნდი მიიღებს 9 ქულას, მეორისთვის — 7, მესამისთვის — 6 და ა. შ. მერვე ადგილი იძლევა 1 ქულას. გუნდები, რომლებიც ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ, აქ უპირატესობა მიენიჭება კოლექტივს, რომელსაც მეტი პირველი ადგილები ექნება აქტივში.

მსოფლიო თასის გათამაშების განრიგი ასეთია: პირველი დღე. ვაჟები. 100, 800, 10000 მეტრზე რბენა, 400 მ თარჯრბენი, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა, უროს ტყორცნა; ქალები. 200 და 1500 მ რბენა, 4×400 მეტრზე ესტაფეტა, სიმაღლეზე ხტომა, შუბის ტყორცნა. მეორე დღე. ქალები. 100 მ თარჯრბენი, 100, 800 მ რბენა, ბირთვის კვრა; ვაჟები. 3000 მ წინაღობებით, 400, 1500 მ რბენა, 4×100 მ ესტაფეტა, ჭოკით ხტომა, სამხტომი, ბადროს ტყორცნა. დასკვნითი დღე. ქალები. 400, 3000 მ რბენა, 4×100 მ ესტაფეტა, ბადროს ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა; ვაჟები. 110 მ თარჯრბენი, 200, 5000 მ რბენა, 4× 400 მ ესტაფეტა, შუბის ტყორცნა, სიმაღლეზე ხტომა, უროს ტყორცნა.

საქდესის ფოტოქრონიკა

ემზადებიან

1 ოქტომბერს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დაიწყება სსრ კავშირის ქალთა XXXVI *ჩემპიონატის ფინალი.*

ცნობილი გახდა, რომ ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიას უხელმძღვანელებს წარსულში გამოჩენილი მოჭადრაკე, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო არბიტრი ქ. ზვორიკინა (მინსკი). მის მოადგილედ დამტკიცებულია უხუცესი საბჭოთა ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. სოროკინი (თბილისი), მსაჯ-მდივნად — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი რ. მეხტიევი (თბილისი).

კლოვანი ლიდერებშია

ბულგარეთში, ფესტივალ „პრიმორსკო-76"-ის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირში ლიდერობისთვის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს. 4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ამერიკელი კომანსი — 3,5 ქულა და რიგელი კლოვანი — 3.

ტრასაზეა „ბაგი"

რიაზანში ფინიში ჰქონდა „ბაგის" ტიპის ავტომობილებით გამართულ პირველ საკავშირო კროსს.

მეორე კლასის მანქანებით რბოლაში ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს ზაპოროჟიელმა მრბოლელებმა ქარხანა „კომუნარის" ინჟინერ-გამომცდელის ა. კრასოტკინის (რომელიც გამარჯვებული გამოვიდა ამ ასპარეზობაში) მეთაურობით.

მესამე კლასის ავტომობილებით შეჯიბრებაში მთავარი პრიზი ლატვიელმა მრბოლელმა უ. კარაკლინშმა მოიპოვა.

აქამდე „ბაგს" თავად მრბოლელები აგებდნენ. და აი, ახლახან დოსააფის ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროში შეიმუშავეს „ბაგის" ორი საწარმოო ნიმუში — „ჟიგულისა" და „ზაპოროჟეცის" ძრავით. ერთ-ერთს ამ ავტომობილთაგან თქვენ ხედავთ სურათზე.

ა. მურავიოვი.

საქდესის ფოტო.

ფიშერი უგულებელყოფს ფიდე-ს

მანილაში (ფილიპინები) მყოფმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა რ. ფიშერმა (აშშ) განაცხადა, რომ მას არ სურს საქმე ჰქონდეს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციასთან (ფიდე), რომ არ ფიქრობს მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვთან შეხვედრის უფლებისთვის პრეტენდენტთა მატჩებში, რომელთაც ფიდე გაისად ატარებს.

ფიშერმა არ მოისურვა განემარტა, თუ რატომ უგულებელყოფს ფიდე-ს. სამაგიეროდ, მან განაცხადა, რომ აპირებს თამაშს საერთაშორისო ტურნირებში, ოღონდ არა იმ შეჯიბრებებში, რომლებიც ფიდე-ს მფარველობით ტარდება.

დამაფიქრებელი შედეგები

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

კარგად ჩატარებული შეჯიბრება რომელსაც მაღალი შედეგები და რეკორდები ამშვენებს, არა მარტო ამ ასპარეზობის ორგანიზატორებში, მაღალი შედეგებისა და რეკორდების ავტორებში, მათს მწვრთნელებში იწვევს სიამაყის გრძნობას, არამედ ჟურნალისტებსაც, რომელთაც ღონისძიებების გაშუქება ევალებათ, სიხარულით აღავსებს.

სამწუხაროდ, არცერთი ეს ნიშანი არ ახლდა თან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში თბილისის პირველობას, რომელშიც დედაქალაქის ყველა რაიონის, აგრეთვე, სპორტსაზოგადოებების „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვებისა“ და „განთიადის“ გუნდების 200-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. („დინამომ“ რატომღაც თავი აარიდა შეჯიბრებას).

ტურნირი თავიდანვე მკაცრი კრიტიკისთვის იყო განწირული: ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტში რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებების საბჭოების წარმომადგენლებთან გამართულ წინასწარ თათბირზე გუნდების ხელმძღვანელებმა მიაღწიეს დებულების იმ პუნქტის დარღვევას, რომელიც ყველას რაიონებისა და სპორტსაზოგადოებების ცალცალკე გუნდების გამოყვანას ავალებდა (დებულებაში პარალელურ ჩათვლაზე ლაპარაკი საერთოდ არ ყოფილა).

სამარცხვინო ფაქტია, რომ თბილისის რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებმა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა III, IV და V საფეხურების 22-22 ნიშნოსნის მოგროვება ვერ შეძლეს, მაშინ, როცა, თუ მათს სტატისტიკურ ანგარიშებს დავუჯერებთ, ათასობით ნიშნოსანი ჰყავთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველი კოლექტივიდან გამარჯვებისთვის 22 ოქროს სამკერდე ნიშნოსნიან გუნდს უნდა ებრძოლა (სხვებს პირად ტურნირში მონაწილეობის უფლებას არავინ ართმევდა), ეს გულისხმობდა, რომ განაცხადების შედგენისას გუნდების წარმომადგენლებს იქვე უნდა მიეთითებინათ ის 22 სპორტსმენი, ვინც გუნდურ ჩათვლაში შევიდოდა. სამწუხაროდ, არცერთ კოლექტივს ეს არ გაუკეთებია და სამანდატო კომისიასაც „მხედველობიდან გამორჩა“, რამაც მრავალჭიდის ყველა სახეობაში და კომპლექსში გუნდური შედეგების დათვლაში იმდენი გადაულახავი სიძნელე გამოიწვია, რომ სამდივნომ მას ოთხი დღის მანძილზე თავი ვერ გაართვა და ბოლოს იძულებული გახდა ყველა კოლექტივიდან საუკეთესო მაჩვენებლები მიეღო მხედველობაში (?!).

საქმე განსაკუთრებით პირველი სახეობის — მძლეოსნური ასპარეზობის შედეგების დათვლისას გართულდა. თორემ მერე, ყოველი სახეობის შემდეგ გუნდური ტურნირის მონაწილენი ასპარეზობას დიდ ჯგუფებად აკლდებოდნენ (მონაწილე, რომელიც რომელიმე ვარჯიშში შეუფასებელი დარჩებოდა, ბრძოლას ეთიშებოდა). მძლეოსნობამ მონაწილეთა ნახევარზე მეტი განთესა, ცურვამ ეს ციფრი კიდევ უფრო გაზარდა, ტყვიის სროლამ კი საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ მშდ კომპლექსის მრავალჭიდს თბილისის თითქმის ყველა რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი, სპორტსაზოგადოებათა საბჭო ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდება, არავინ ფიქრობს სპორტის ამ კომპლექსური სახეობის ნორმალურად დანერგვა-განვითარებაზე, ნიშნოსანთა მომზადების გეგმებს კვლავ მიწერებით ასრულებენ.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ III საფეხურის კომპლექსში მოასპარეზე ქალთაგან სროლამდე მხოლოდ რვამ მიაღწია (აქამდე ლიდერობდა „შრომითი რეზერვების“ გუნდის წევრი მ. ასლანოვა, რომელსაც 48 ქულა ჰქონდა), სროლამ კი ისინიც „იმსხვერპლა“, ისე, რომ სპორტსმენი, რომელიც ნორმატივს მრავალჭიდის ყველა სახეობაში შეასრულებდა და თბილისის ჩემპიონი გახდებოდა, არავინ აღმოჩნდა.

V საფეხურის კომპლექსში გამარჯვებისთვის მებრძოლმა ქალებმა დავა უფრო ადრე შეწყვიტეს. 13 გუნდიდან მხოლოდ ორი (?) სპორტსმენი დარჩა. მძლეოსნურ სახეობებში ე. ზულმა (კიროვის რაიონი) 94 ქულა შეაგროვა, ლ. პოლოზენკომ (1 მაისის რაიონი) — 60. მაგრამ „ლოკომოტივის“ აუზში გამართულ ცურვაში ორივე „ჩაიჭრა“ და შეჯიბრებაც ამით დაამთავრეს.

დიდად სახარბიელო სურათი არც IV საფეხურზე იყო. აქ მონაწილენი ასაკის მიხედვით ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველ ასაკობრივ ჯგუფში ფინიშამდე მარტო ლ. კახურაშვილი (ორჯონიკიძის რაიონი, „ბურევესტნიკი“) მივიდა — 26 ქულა. მეორე ასაკობრივ ჯგუფში — თ. როჟმანოვა (26 კომისრის რაიონი, „შრომითი რეზერვები“) — 54.

თავი არც ვაჟებს გამოუჩენიათ. III საფეხურზე სროლამდე ა. უშაკოვი (26 კომისრის რაიონი) დიდი უპირატესობით ლიდერობდა — ცეცხლის ხაზზე გასვლის წინ მას 76 ქულა ჰქონდა, მაგრამ ძალიან ცუდად ისროლა და საბოლოოდ შეჯიბრების ფინიშამდე ვერ მიაღწია. მისი ბედი კიდევ ბევრმა გაიზიარა, გამონაკლისი იყო მხოლოდ სამი კაცი: გ. ბატრაკოვი — 42 ქულა, მ. ნოვოსელცოვი (ორივე — ორჯონიკიძის რაიონი, „ბურევესტნიკი“) — 40 და ვ. ლატარია (26 კომისრის რაიონი) — 38, რომლებმაც საბოლოოდ საპრიზო ადგილები ამ თანმიმდევრობით დაიკავეს.

IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში (ფინიშზე 7 მონაწილემ მიაღწია) გაიმარჯვა გ. ხოლომატოვმა („შრომითი რეზერვები“) — 77, II ადგილზეა ი. ბრიზგალოვი (ორჯონიკიძე, „ბურევესტნიკი“) — 66, III — გ. ბურკიშვილი („შრომითი რეზერვები“) — 61.

ამ საფეხურის მეორე ასაკობრივ ჯგუფში ყველა ნორმატივი მარტო ი. ჯარიაშვილმა („განთიადი“, 1-ლი მაისის რაიონი) შეასრულა და საბოლოოდ 47 ქულა მოაგროვა.

ახალგაზრდებს ისევ „ბებრებმა“ — V საფეხურის ნორმატივების ჩამბარებლებმა აჯობეს. მ. კოგანმა („განთიადი“, საქარხნო რაიონი) 172 ქულა მოაგროვა, გ. ნიკოლაიშვილმა (26 კომისრის რაიონი) — 140, ვ. ბიკოვმა (ორჯონიკიძე, „ბურევესტნიკი“) — 119. სულ შეჯიბრება კი 9 სპორტსმენმა დაამთავრა.

ჩემპიონატში მონაწილე ნიშნოსანთა საერთო მომზადების დონე რომ ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა, იქიდანაც ჩანს, რომ კალინინის, ოქტომბრისა და ლენინის რაიონების გუნდებს საბოლოოდ თითო ქულაც კი არ მიუღიათ.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა რაიონებს შორის: ორჯონიკიძის რაიონი — 459 ქულა, 26 კომისრის რაიონი — 421, კიროვის რაიონი — 177, საქარხნო რაიონი — 172, 1-ლი მაისის რაიონი — 131. სპორტსაზოგადოებებს შორის: „ბურევესტნიკი“ — 421, „შრომითი რეზერვები“ — 305, „განთიადი“ — 219.

ვფიქრობთ, სურათი უფრო ნათელი იქნება თუ იმასაც დავუმატებთ, რომ არც შეჯიბრების ორგანიზაცია იყო სახარბიელო. არც „ლოკომოტივის“ სტადიონზე და ამ საზოგადოების აუზზე, არც დოსააფის საქალაქო ტირში არ იგრძნობოდა, რომ ისინი იმ დღეებში თბილისის ჩემპიონატის კარგი მასპინძლები იყვნენ.

ფაქტები მეტად სერიოზული და დამაფიქრებელია.

ო. გელაშვილი.

ხუთი ღირსების ჯარისკაცი

სათაური, რა თქმა უნდა, პირობითია. საუბარია ერთი თანამედროვე ხუთჭიდელის სპორტულ ღირსებებზე. სპორტის ამ სახეობის მიმდევრებზე აკი არსებობს კიდეც ხატოვანი გამოთქმა — ხუთი ღირსების რაინდებიო. თორემ რიგითი ჯარისკაცის იური სამსონოვის მეთაურებსა და მეგობრებს რომ ჰკითხოთ, ისინი მის შესახებ სხვა ღირსებებსაც ჩამოგითვლიან. მაგალითად, ისინი იტყვიან, რომ იური არც წყალბურთს თამაშობს ურიგოდ, არც ხელყუმბარის ტყორცნაში ირცხვენს თავს და არც მეგობრობაშიო. ბოლოს კი იმასაც დასძენენ, რომ იური საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანიაო.

აი, სწორედ ამიტომაა ჩვენი წერილის სათაური პირობითი.

...იური სამსონოვი თავდაპირველად წყალბურთმა გაიტაცა, კარგად ცურავდა, ბურთსაც არ ფლობდა ურიგოდ, ოსტატობას სულ უფრო და უფრო ხვეწდა. ერთი სიტყვით, იური პერსპექტიული წყალბურთელი გახლდათ. მაგრამ აი, მარშან ერთმა შემთხვევამ იურის ბედი, როგორც სპორტსმენისა, მგონი საბოლოოდ განსაზღვრა.

მშდ-ს მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის რესპუბლიკური გათამაშება ტარდებოდა. შეჯიბრებაში IV საფეხურის პროგრამით იურიც ჩაება. სოხუმელმა წყალბურთელმა, რომელიც აღნაგობით კალათბურთელს უფრო წააგავს II ადგილი დაიკავა.

— ჩემს გამოსვლას თურმე საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა უფროსი მწვრთნელი ვალერიან როგავა ადევნებდა თვალყურს, — იგონებს იური. — შეჯიბრების შემდეგ ჩემთან მოვიდა, გამესაუბრა და ბოლოს მირჩია — თუ გულმოდგინედ ივარჯიშებ, შენგან კარგი თანამედროვე ხუთჭიდელი დადგებაო.

ამის შემდეგ, სულ მალე იური სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. მან ჯარისკაცული ვალის მოხდა და თანამედროვე ხუთჭიდში ვარჯიში ერთდროულად დაიწყო.

ამას წინათ, იური მეთაურებმა იხმეს.

— კრასნოდარში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების პირველობა ტარდება მშდ-ს მრავალჭიდში. შენი იმედი გვაქვს, რადგან ამ შეჯიბრების პროგრამასა და თანამედროვე ხუთჭიდის პროგრამას ბევრი რამა აქვთ საერთო. ცურვასა და მძლეოსნურ კროსში, გვჯერა, თავს არ შეირცხვენ. სპორტული პისტოლეტის ნაცვლად „ნამდვილი“, მაკაროვის სისტემის პისტოლეტით სროლაც არ გაგიჭირდება. ეგ კია, დაშნის ნაცვლად ხელყუმბარით მოგიწევს ბრძოლა, ხოლო ცხენით ასპარეზობის მაგიერ თვითონ ირბენო, უთხრეს იურის.

ჰოდა, იურიც მივიდა, ნახა და გაიმარჯვა. ეს მისი პირველი გამარჯვებაა.

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეთაურების ნდობა გავამართლე. ამ გამარჯვებას, რა თქმა უნდა მშდ-ს იმ შეჯიბრებას ვუმადლი, რომელშიც ჩემმა მომავალმა მწვრთნელმა ვალერიან როგავამ აღმომაჩინა, — გვეუბნება ხუთი ღირსების ჯარისკაცი.

იური პერსპექტიული თანამედროვე ხუთჭიდელია. მისგან უფრო დიდ გამარჯვებებს ველით, გვითხრა მისმა აღმზრდელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. როგავამ.

ერთი სიტყვით, აღმზრდელი და აღსაზრდელი იმედის თვალით უყურებენ მომავალს.

ა. გურასაშვილი,
რიგითი ჯარისკაცი.

* * *

სურათზე: ი. სამსონოვი.
ავტორის ფოტო.

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა
I ზონა

22 სექტემბერს გაიმართა ზონის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1

ინტერესი მატჩის მიმართ დიდი იყო და თამაშიც საბრძოლო ვითარებაში, შინაარსიანად ჩატარდა. დასაწყისში გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონდა, შემდეგ დინამოელები დაეუფლნენ შუა მინდორს, ნახევარმცველებმა რამდენიმე მოფიქრებული კომბინაცია განახორციელეს ბურთის შორეული გადაცემებით და „გურიის“ მეკარე მაყაშვილს მძიმე სამუშაო დააწვა. კერძოდ, მან აიღო შელიას, ოსაძის, ბეჟანიძის ძლიერი დარტყმები.

მე-16 წუთზე „გურიის“ კარი ძულმა იხსნა სარიშვილის შორეული დარტყმის შემდეგ, 30-ე წუთზე კი ოსაძე — ბეჟანიძეს შორის გათამაშებული ბურთი ამ უკანასკნელმა მეტოქის კარის აღებით დაამთავრა.

ლანჩხუთელებმა კარგად ითამაშეს მეორე ტაიმის დასაწყისში. ერთ-ერთ მომენტში სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდა მჭედლიშვილი, რომლის ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:1.

დარჩენილ დროში ბათუმელი ფეხბურთელები ბევრს უტევდნენ, ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა ჰქონდათ ბოხუას, ოსაძეს, შელიას, მაგრამ ისინი არ იქნა გამოყენებული, და, ისევე როგორც პირველ წრეში (0:0), ეს შეხვედრაც ფრედ დამთავრდა.

ო. მურვანიძე.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 0:3.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის. „მეტალურგიც“ და „მაღაროელიც“ გათამაშების ცხრილის ბოლოში იმყოფებიან და ერთმანეთთან შეხვედრაში ბევრი რამ წყდებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ მასპინძელთა თამაშში ჩანდა სრული მობილიზება და მონდომება. თუ პირველ ტაიმში უპირატესობა მათს მხარეს იყო, შესვენების შემდეგ მაღაროელებმა უფრო სწორად და გეგმაზომიერად ააგეს თამაში. კერძოდ, კონტრიერიშებისას მათი თავდამსხმელები კარგად იყენებდნენ მეტოქის დაცვაში დაშვებულ უხეშ შეცდომებს და შედეგიანად ამთავრებდნენ მათ. უკვე 47-ე წუთზე მაღრაძემ კარგად გამოიყენა „მეტალურგის“ მეკარის კიკნაძის შეცდომა და თავით გახსნა ანგარიში, შემდეგ კი იმავე მაღრაძემ კიდევ ორჯერ გამოიჩინა თავი და „ჰეთ-ტრიკი“ შეასრულა.

თ. რაჟდენიძე.

სხვა მატჩები

დამთავრა ასეთი შედეგებით: „ხიმიკი“ (გროდნო) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 1:1, „დინამო“ (ბრესტი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 4:0, „დვინა“ (ვიტებსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:2, „დნეპრი“ (მოგილიოვი) — „ზვეინიეკსი“ (ლიეპაია) 2:2, „მაშინოსტროიტელი“ (გომელი) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 3:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დილა“ (გორი) 3:1, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 5:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“	32	18	9	5	54—25	45
„შირაკი“	32	17	7	8	56—32	41
„ჟალგირისი“	33	18	4	11	61—28	40
„დინ.“ ბრ.	31	15	9	7	51—31	39
„დილა“	31	17	4	10	44—28	38
„დინ.“ ბთ.	31	15	7	9	34—24	37
„დინ.“ ზ.	31	17	3	11	37—42	37
„ავტომობ.“	31	13	10	8	39—24	36
„პროგრესი“	32	13	8	11	36—44	34
„ხიმიკი“	32	11	9	12	38—28	31
„მაშინოსტრ.“	32	12	7	13	32—36	31
„ლოკომოტ.“	31	13	4	14	32—46	30
„ზვეინიეკ.“	33	12	5	16	34—42	29
„ატლანტ.“	33	11	7	15	30—39	29
„მაღაროელი“	31	10	6	15	26—44	26
„დვინა“	32	9	7	16	24—32	25
ფიზკ. ინსტ.	31	8	9	14	29—49	25
„სპერანცა“	31	7	9	15	25—31	23
„მეტალურგი“	32	7	6	19	20—46	20
„დნეპრი“	32	5	8	19	22—53	18

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	5	5	0	0	15—4	10
„კარპატი“	6	4	2	0	12—5	10
„დინამო“ კ.	7	4	2	1	11—4	10
„შახტიორი“	6	4	2	0	10—5	10
„დინამო“ მ.	6	3	3	0	11—7	9
„სპარტაკი“	6	3	1	2	14—8	7
ცსკა	6	2	3	1	7—7	7
„კრ. სოვეტოვი“	6	2	2	2	7—8	6
„ზენიტი“	7	2	2	3	12—14	6
„ტორპედო“	6	0	5	1	5—6	5
„დინამო“ მნ.	8	1	3	4	6—11	5
„ზარია“	6	1	2	3	5—7	4
„ლოკომოტივი“	7	1	2	4	6—13	4
„ჩერნომორეცი“	6	0	3	3	2—8	3
„არარატი“	6	1	1	4	8—16	3
„დნეპრი“	6	0	1	5	5—13	1

შესარჩევი მატჩი

ჰელსინკი. აქ შედგა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ევროპის II ჯგუფში. ფინეთის ნაკრებმა თავის მინდორზე მიიღო ლუქსემბურგის გუნდი, სრული უპირატესობით ითამაშა და გაიმარჯვა ანგარიშით 7:1. ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ფინეთის ნაკრებს უკვე 40 წელია ასეთი ანგარიშით არ გაუმარჯვია.

ფინელები ახლა ლიდერები არიან თავიანთ ჯგუფში 2 მატჩის შემდეგ. ინგლისელებსა და ლუქსემბურგელებს თითო თამაში აქვთ ჩატარებული, იტალიელები კი ჯერ არ ჩაბმულან ბრძოლაში.

მოკლედ

ოსლო. ნორვეგიისა და შვეციის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა ნორვეგიელთა გამარჯვებით — 3:2. აღსანიშნავია, რომ ეს ნორვეგიელთა პირველი მოგებაა თავიანთ მეზობლებთან ბოლო 9 წლის მანძილზე.

ლინცი. აქ სტუმრად მყოფმა შვეიცარიის ნაკრებმა ანგარიშით 1:3 განიცადა მარცხი ავსტრიელებთან შეხვედრაში.

ბუქარესტი. 25 ათასი მაყურებელი მოვიდა „რესპუბლიკას“ სტადიონზე რუმინეთის ნაკრების მატჩის სანახავად ევროპის ჩემპიონებთან — ჩეხოსლოვაკიელებთან.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. გოლები გაიტანეს ჩეხოსლოვაკიელმა მასნიმ და რუმინელმა ჯორჯესკუმ.

სოფია. ბულგარეთისა და თურქეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ბულგარელთაგან თავი გამოიჩინეს ბონევმა და ქელიაზკოვმა, ხოლო სტუმრებიდან — ქემალმა. თურქებმა ფრეს მიაღწიეს ბულგარელი ივკოვის მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლის მეოხებით.

კოპენჰაგენი. დანიისა და იტალიის გუნდების ამხანაგურ მატჩში წარმატება წილად ხვდათ იტალიელებს — 1:0. ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში გაიტანა პულიჩიმ.

ბერლინი. დიდი ინტერესი გამოიწვია გდრ-ისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ამხანაგურმა საერთაშორისო მატჩმა. ანგარიში მე-20 წუთზე გახსნა რიდიგერმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა უნგრელმა ფაზეკაშმა — 1:1.

იმედი

სპორტში არსებობს ეგრეთ წოდებული იმედის ცნება. ეს გამოთქმა უფრო „შინაურულ“ საუბარში გამოიყენება და ამიტომ გულშემატკივართა ფართო წრისთვის ეგებ რამდენადმე ბუნდოვანიც იყოს. სპორტს სჭირდება არა მარტო უძლიერესი შემსრულებლები, არამედ იმედიანი ადამიანებიც. არა იღბლიანი, არა ლიდერი, თუმცა ეს გამორიცხული არაა, არა უბრალოდ ძლიერი ოსტატი... ერთი სიტყვით, კაცი, რომელიც გამარჯვების ფაქტორია, ადრე თუ გვიან მატჩის მანძილზე თავისი სიტყვა უნდა თქვას, ურომლისოდაც ესა თუ ის გუნდი დაჰკარგავდა ნაწილობრივ გამარჯვების რწმენას.

ფართო მნიშვნელობით, ჩვენი მსჯელობა რომ უფრო ცხადი გახდეს, ასეთ სპორტსმენად, მაგალითად, გვეგულება ვლადისლავ ტრეტიაკი. უიმისოდ მოყვარულთა შორის მსოფლიოს უძლიერესი გუნდი ლეგენდარული ანთეოსის დარად ჰკარგავს თავის ძალას, რამდენ პროცენტს ძნელი სათქმელია, მაგრამ მარტო ძალისა კი არა, იმედსაც, უეჭველი გამარჯვების იმედს.

ნუ ვიქნებით ზედმეტად ოპტიმისტი, და ნუ ვიტყვით, თითქოს ამა თუ იმ გუნდს ერთი იმედიანი სპორტსმენის გარდა კიდევ უნდა ჰყავდეს რამდენიმე. ასეთი ათლეტები არა თუ გუნდებში, მთლიანად სპორტულ სამყაროში თითზე ჩამოსათვლელნი არიან. დარწმუნებული ვარ, „კოსმოსში“ დაზერებული ფეხბურთის მეფე პელე არგენტინის ჩემპიონატშიც რომ გამოვიდეს, მაინც იმედის დიდი წყარო იქნება ახალგაზრდა თანაგუნდელებისთვის.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ სინამდვილეზეც ვილაპარაკოთ. ჩემი ღრმა რწმენით, ვთქვათ, გივი კარტოზია მარტო სპორტსმენი ინდივიდუალისტი არ ყოფილა. მისი პიროვნება მაგიურ ზემოქმედებას ახდენდა რესპუბლიკისა და საკავშირო ნაკრები გუნდების წევრების საბრძოლო განწყობილებაზე. „გივი კარტოზია იყო ჩვენი ნაკრების იმედი. მისი გამოსვლის შემდეგ თითქოს ნაკრების წევრებს ძალა გვიათკეცდებოდა. ძალიან უგულო და უემოციო მოჭიდავე უნდა ყოფილიყავი, რომ მისი მაგალითის კვალობაზე ხალიჩაზე არ გეჩვენებინა, რისი უნარიც შეგწევს და ხშირად ამ უნარზე ცოტა მეტიც“. ასე ამბობს მსოფლიო კლასის ფალავანი ანატოლი როშჩინი, მთაკაცად წოდებული.

გივი კარტოზიას ადგილი, ანუ იმედიანი სპორტსმენის ადგილი, საკავშირო ნაკრებში ღირსეულად დაიკავა ლევან თედიაშვილმა. გადაჭარბებაში ნუ ჩამოგვართმევთ, და ის, ლევანი, ალბათ ერთადერთი ფალავანი იყო მონრეალში, რომლის საბოლოო გამარჯვება თავიდანვე არავითარ ეჭვს არ იწვევდა. რამდენი მოჭიდავის, ჩინებული ოსტატის ხელოვნება გახუნდა ოლიმპიადაზე, რამდენს უკანკალებდა მუხლები, ვიდრე სანუკვარ მედალს მიიკრავდა მკერდზე. გუსარული გაბედულება, თვით უდარდელობაც კი, რომლითაც ლევანი ამარცხებდა თავის ტიტულოვან მეტოქეებს, არავითარ შემთხვევაში პოზა არ ყოფილა. ის არის იმედის კაცი და ამას საუცხოოდ გრძნობენ თანაგუნდელებიც, მოწინააღმდეგეებიც, მსაჯებიც და მაყურებლებიც. თუ გულში ოდნავ მაინც ყოყმანობ, დაეჭვებული ხარ გამარჯვებაში, ამდენ ხალხს რას გამოაპარებ. ლევანს გამოსაპარებელი არაფერი ჰქონდა. მას აქვს იმედის იმხელა მარაგი, თავად ხომ საკმარისად აქვს, ბევრსაც შეუძლია უწილადოს. ეს არის, მე თუ მკითხავთ, მისი უპირველესი ღირსება.

იმედიანი სპორტსმენების რიცხვს შეემატა ქართული ფეხბურთის (ამაზე უკვე აშკარად უნდა ითქვას) ახალი ვარსკვლავი დავით ყიფიანი. როცა ის მინდორზეა, გჯერა, გოლი, თანაც გამარჯვების გოლი, აუცილებლად გავა მეტოქის კარში. ვიყოთ გულახდილნი: განა დღევანდელ თბილისის „დინამოს“, ბევრი თუ არა, ერთი-ორი კაცი მაინც არ მოეძებნება ისეთი, ოსტატობის საერთო ხარისხით ყიფიანს რომ გაუთანაბრდეს? მაგრამ მაყურებელმა (საბოლოო ჯამში კი მაყურებელს უტყუარი ინტუიცია აქვს), სწორედ ყიფიანი შეიცნო იმ ზედმიწევნით „დეფიციტურ“ სპორტსმენად, რომელსაც იმედის კაცი ჰქვია. გახსოვთ, როგორი შეშფოთებული ვიყავით თასის ფინალის წინ, როცა ექიმები საალბათო პროგნოზს აკეთებდნენ მძიმედ ტრავმირებული ყიფიანის გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის თაობაზე? ვიცოდით, ყიფიანის გარეშე გუნდი ისეთი მონოლითური და იმედიანი არ იქნებოდა, როგორიც იგი ვიხილეთ. ცდებოდა კუიბიშეველი კომენტატორი, აშკარად ცდებოდა , როცა დინამოელთა მეორე გოლის გატანამდე ყიფიანი ჩრდილში მყოფ ფეხბურთელად წარმოიდგინა. ფრაზა — „მან მაინც გააკეთა თავისი საქმეო“, გადაბრუნებული ურმის ასოციაციას იწვევს. არა და, ყიფიანი თავისი ნიჭიერი შემსრულებლების დახმარებით ჰქმნიდა იმ რთულ ლაბირინთს, რომლის „მსხვერპლი“ გახდა კუიბიშეველთა ენერგიული გუნდი.

ახლა წარმოვიდგინოთ თბილისელ კალათბურთელთა გუნდი მიშიკო ქორქიას გარეშე. მაშინ კოლექტივს უნდა გამოვტაცოთ არა მარტო უძლიერესი სპორტსმენი, არამედ იმედიც. ნუ შევუდგებით ქულების თვლას, ვის უფრო მეტი „მატერიალური“ სარგებელი მოაქვს გუნდისთვის ამა თუ იმ მატჩში. მე მგონია, ეს ფაქტორი ზედმიწევნით ანგარიშგასაწევია, მაგრამ ყველაზე მთავარი — არა. იმედი, რაზედაც ზემოთ ამდენი ვილაპარაკეთ, იმდენად გოლები და ქულები არაა, იგი იმედი, გამოსვლისთანავე აზანზარებს ტრიბუნებს, მოედანზე ცვლის ძალთა თანაფარდობას, გამარჯვების წყურვილს უღვივებს თანაგუნდელებს და პესიმიზმს თესავს მეტოქის ბანაკში. იმედი საჭიროა საერთოდ ცხოვრებაში და, კერძოდ, სპორტში, საჭიროა და მერე როგორ! მე მინახავს მიშიკო ქორქია, რომელიც გააფთრებული დაჰქრის მოედანზე, რომ წამოიწყოს დიდი ბრძოლა, აიყოლიოს ამხანაგები, უჩვენოს, რომ თვით ყველაზე მშვიდი, დაჯერებული და ხშირად ობიექტურად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის გატეხვაც შეიძლება, თუ იმედი არ გტოვებს, თუ გჯერა, რომ იმაზე მეტს გააკეთებ და მოიმოქმედებ, ვიდრე ძალგიძს. მე ვფიქრობ, ის თავად არის კალათბურთელი, რომელიც ხშირად საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარზე თამაშობს, ანდა სცილდება ამ ზღვარს. მისივე აღიარებით, ბუნებას მიშიკო ქორქიასთვის არ მოუმადლებია ისეთი კაშკაშა ნიჭი, როგორიც ჰქონდათ საკანდელიძესა და უგრეხელიძეს. „საკმარისია ერთი ვარჯიში გამოვტოვო, მანამდე ნამუშევარი წყალში გადამეყრება და მერე გაჭირვებით ვიბრუნებ სპორტულ ფორმას“. ეს თავმდაბლად ნათქვამი სიტყვები მაინც უნდა მივიღოთ ჭეშმარიტებად, რადგან მიშიკო ქორქია ის კაცი არ არის, რომელიც სხვაზე ან საკუთარ თავზე მოჩვენებითი თავმდაბლობით ლაპარაკობდეს. მის გვერდით თამაში ძნელია, ისევე როგორც მის წინააღმდეგ. არც მსაჯებსა აქვთ მაინცდამაინც დალხინებული ცხოვრება, როცა ქორქიას მონაწილეობით სჯიან მატჩს. იგი არ ზოგავს თავის თავს, არა, მაგრამ შეღავათს არც სხვას მისცემს. მის აკრობატულ ნახტომებში (ამას ლამის ორმეტრიანი კაცი სჩადის) ჩანს თავგანწირვის, თვით უკიდურესი სპორტული ფანატიზმის ელემენტი. ის არც პლასტიკაზე ზრუნავს. საკალათბურთო ესთეტიკის ნორმების მიხედვით, მიშიკო ქორქია ალბათ საკმაოდ დაშორებულია იდეალს. მაგრამ მისი პლასტიკა შინაგან სპორტულ ჰარმონიაში, რაინდულ თავგანწირვაშია. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოედანზე იგი იბრძვის, უფრო მაღალი ინტერესებისთვის, ვიდრე გუნდის გამარჯვებისთვის ზრუნვაა, თუმცა ამ ინტერესებზე მაღლა არაფერია. იქნებ სწორედ მისი ეს თვისება გადაეცემა ტრიბუნებს ყველაზე უფრო ძალუმად, იქნებ ეს მოგვწონს ქორქიაში ყველაზე მეტად. ხშირად მიშიკო ქორქიას ენთუზიაზმი დადგენილ ზღვარს სცილდება და მაშინ მაყურებელთა ყველაზე ჯანსაღი ნაწილი მას არ თანაუგრძნობს. „საავარიო“ ვითარების შექმნა მოედანზე არ ამშვენებს ჩინებულ კალათბურთელს, თუმცა ასეთი მიშიკო ქორქია მეტწილად წინა წლებიდან გვახსოვს. დღეს იგი დაღვინდა და, ასე გასინჯეთ, თვითონ ამყარებს ხშირად მოედანზე წესრიგს. ეს არის სიდინჯე, რომელიც მოჰყვა ასაკს, ესაა პატივისცემა მაყურებლისა და მეტოქისა. და რაც არ იცვლება მასში, ესაა ისევ და ისევ ზღვარს მიტანებული ენთუზიაზმი და თავგანწირვა.

ბავშვობაში მას მშობლების გარდა საუკეთესო მწვრთნელი და აღმზრდელი სულიკო თორთლაძე ასწავლიდა ეგრეთ წოდებულ კარგი ტონის გაკვეთილებს. ადრეულ სიჭაბუკეში, რა დასამალია, ჩუმჩუმად ბევრი მოზარდი სპორტსმენი, უფროსების წაბაძვით ეწევა და სვამს კიდეც. მიშიკო ქორქიაზე ამას ვერ ვიტყვით.

„ერთხელ, მაშინ უკვე კალათბურთელად მომქონდა თავი, ფიზკულტურის გაკვეთილი გავაცდინე. ეს გაუგია სულიკო თორთლაძეს. ვარჯიშის შემდეგ იგი გასახდელში შემოვიდა და... მაგრად ამიწია ყური. თან სხვების გასაგონად დააყოლა, ზოგ-ზოგს თავი უკვე ცნობილი სპორტსმენი ჰგონია, ფიზკულტურის გაკვეთილებს აცდენს და ავიწყდება, რამდენი აქვს კიდევ გასაკეთებელი. მას შემდეგ ალბათ ბევრი შეცდომა მომსვლია, მაგრამ ერთი ვარჯიშიც არ გამიცდენია“.

1968 წელს, ისე, რომ თბილისს ჯერაც არ ენახა ქუთაისიდან „დინამოში“ ახლად ჩარიცხული კალათბურთელი, იგი საკავშირო ნაკრებთან ერთად მექსიკის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა, იგი არ წაიყვანეს ოლიმპიადაზე, გომელსკიმ ქორქიას უთხრა: შეგიძლია შენს გუნდს დაუბრუნდე და საკავშირო მატჩებში მიიღო მონაწილეობაო (იმ წელს საკავშირო ნაკრების წევრები ქვეყნის ჩემპიონატში არ გამოდიოდნენ). გომელსკის, რა თქმა უნდა, არაფერი შეეშლებოდა, მაგრამ ახალგაზრდა კალათბურთელი მაინც გულდაწყვეტილი გამოეშურა თბილისისკენ. თბილისელი მაყურებელი მოგებული დარჩა ამით. ქართული კალათბურთის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, სპორტსმენი ჯერ ნაკრებში სათამაშოდ მიეწვიოთ, საკუთარ გუნდში გამოსვლამდე. ქორქიამ გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. „ჟალგირისთან“ თხუთმეტ წუთში თვრამეტი ქულის მოხვეჭა იოლი არ არის. ამავე გუნდთან მეორე მატჩში მან აღაფრთოვანა კალათბურთის მოყვარულები — 28 ქულა! რომელი დებიუტანტი დაიტრაბახებს ასეთი იღბლიანი პრემიერით?

მასში ჯერაც არ გამქრალა შფოთიანი სიჭაბუკის ნიშნები. „მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ფინალში ამერიკელებთან მსაჯებმა მოედნიდან გამომაგდეს. ღმერთი-რჯული, ჩხუბი პირველს მე არ დამიწყია. მაგრამ არც ჩხუბის ამტეხ ამერიკელს დააყარეს ხეირი — ისიც გამოაგდეს. ძალიან დარცხვენილი ვიყავი, ვფიქრობდი, რა დროს ვუღალატე კოლექტივს-მეთქი. კონდრაშინი კი მშვიდად იყო, — ამერიკელი ძალიან კარგად თამაშობდა იმ დღეს“.

მიუნხენი მიშიკო ქორქიას არ ავიწყდება. იმ პერიოდში იგი, რბილად რომ ვთქვათ, ოლიმპიური სიმშვიდით არ გამოირჩეოდა. წარმომიდგენია, როგორ ნერვიულობდა იგი ფინალური მატჩის წინ, როცა „ორი დღით ადრე გადამწყვეტ შეხვედრამდე ვიცოდით, რომ ჩვენ — საკანდელიძეს და მე უნდა გვეთამაშა. აღელვებისგან ხმას არ ვცემდით ერთმანეთს, ნაჩხუბარივით დავდიოდით. არ მავიწყდება, როგორ ვისხედით გასახდელში ფინალის შემდეგ მთელი შვიდი საათი და მსაჯთა გადაწყვეტილებას ველოდით, ოქროს მედალი ასეთი ტანჯვა-წვალებით ჯერ არ დაბადებულა“.

მონრეალზე საერთოდ არ გვილაპარაკია — ეს თემა მიშიკო ქორქიაში ვერავითარ ენთუზიაზმს ვერ იწვევს. მას, საზოგადოდ, არ უყვარს დამარცხება და, რა დასამალია, თანაგუნდელებთან შედარებით ყველაზე მტკივნეულად ეგუება, უფრო სწორად, ვერ ეგუება მას...

სულ მალე დარეკავს ახალი საკავშირო ჩემპიონატის დაწყების მაუწყებელი ზარი და ჩვენ გონების თვალით უკვე ვხედავთ „დინამოს“ თავის უპირველეს იმედთან ერთად. მას სწყურია თამაში, წლებმა ვერ განელეს მიშიკო ქორქიაში ამ საოცარი სახეობის საიდუმლოთა ამოცნობის სურვილი. არ არის მართალი ის ხალხი, ვინც ამა თუ იმ სპორტსმენზე ამბობს, მისთვის აღარავითარი საიდუმლო არ არსებობს სპორტშიო. საინტერესოა, ვინ არის ასეთი სპორტსმენი? ყოველ შემთხვევაში, მიშიკო ქორქია სულაც არ ფიქრობს საკუთარ თავზე ამას. „პროფესიონალ ამერიკელებთან ვერავინ მოვა საკალათბურთო ხელოვნებაში. პროფესიონალ ჰოკეისტებსა და კალათბურთელებს შორის სხვაობა მეტად დიდია. ჰოკეისტებს მოყვარულებიც თანაბარ თამაშს უმართავენ, კალათბურთელებს კი ჯერ ვერ გაუმკლავებიან. როცა ამერიკელი დიდ კალათბურთს იწყებს, მას უკვე უზადო ტექნიკა აქვს, მწვრთნელი მხოლოდ მის ტაქტიკურ დაოსტატებაზე ზრუნავს. პროფესიონალებისგან მოყვარულებმა ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. ყველა შემთხვევაში მაინც ვფიქრობ, რომ იდეალური კალათბურთელი ჯერ არ დაბადებულა“. მერე კი თითქოს სინანულით დასძინა: „მე ვთვლი, დიდი ტალანტი არა მაქვს, ყველაფერს დიდი შრომით მივაღწიე. ბედნიერი ვარ, რომ კალათბურთი ჩემი ცხოვრების ორგანული ნაწილია“.

ა. გოგელია.

P. S. მართალი გითხრათ, ეს სტატია თავიდან მხოლოდ მიშიკო ქორქიაზე მინდოდა დამეწერა. ჯერ კიდევ მონრეალის ოლიმპიადამდე ვესაუბრე მას და დავპირდი, შენზე ნარკვევს დავწერ-მეთქი. გავიდა დრო, მონრეალის ოლიმპიადის შედეგმა, მიშიკო ქორქიასი არ იყოს, ჩემშიც გაანელა ჟურნალისტური ენთუზიაზმი და ალებული მასალა კარგა ხნით გადავდე. ორიოდე კვირის წინათ მიშიკოს კვლავ შევხვდი. მან ხუმრობით მითხრა — ჩემი ნარკვევი სად არისო. მეორედ დავპირდი, დავწერ-მეთქი და ამჯერად სიტყვა აღარ გამიტეხავს. მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი: ქორქიას პორტრეტზე ფიქრმა ჩემში გამოიწვია ასოციაციები, რომლებსაც პირობითად იმედიანი სპორტსმენის იერსახე დავარქვი. ამიტომ წერილი მარტო მიშიკო ქორქიათი არ შემომიფარგლავს. მინდოდა მეჩვენებინა, რომ ქორქია ჩვენი ერთადერთი იმედი არ ყოფილა და არ არის. მადლობა ღმერთს, ქართული სპორტი წარსულშიც ბადებდა ასეთ სპორტსმენებს და მომავალშიც არ მოგვაკლდება მათი ხილვის სიამოვნება.

• • •

სურათზე: ფარქვეშ, წინა პლანზე — იერიშზეა მ. ქორქია.

მ. ზარგარიანის ფოტო.

1976

ჩემპიონატის ქრონიკა

0:0

22 სექტემბერს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის გადადებული მატჩი დონეცკის „შახტიორსა“ და კიევის „დინამოს“ შორის.

უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

უმაღლესი ლიგა

I ლიგა

გათამაშების ლიდერებია ბაქოს „ნეფთჩი“ და ალმა-ათის „ქაირათი“

22 სექტემბერს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელებს შეხვედრა ჰქონდათ ალმა-ათაში, ადგილობრივ „ქაირათთან“. ტორპედოელები დამარცხდნენ — 0:2. მათ ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს მატჩი: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, შელია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ქვირია, ბურკაძე, ფესტვენიძე, შენგელია, გაბიჩვაძე.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:0, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ (როსტოვი) 0:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „დაუგავა“ (რიგა) 3:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0, „თერგი“ (გროზნო) — „იალბუზი“ (ნალჩიკი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნეფთჩი“	30	17	9	4	53—24	43
„ქაირათი“	30	18	7	5	40—20	43
„ფახთაქორი“	30	15	10	5	50—20	40
„ტავრია“	31	15	9	7	44—25	39
„ზვეზდა“	31	12	10	9	43—36	34
„ნისტრუ“	30	10	13	7	40—30	33
„ტორპედო“	31	10	13	8	34—29	33
„შინიკი“	31	13	6	12	34—31	32
„კოლხოზჩი“	30	12	7	11	50—49	31
„პამირი“	30	11	9	10	29—35	31
„კუზბასი“	30	12	6	12	44—43	30
ასკ	31	10	9	12	31—35	29
„სპარ.“ ი.-ფ.	30	10	9	11	32—37	29
„სპარ.“ ორ.	30	8	11	11	31—41	27
„მეტალურგი“	30	9	8	13	27—30	26
„თერგი“	30	7	12	11	31—47	26
„რუბინი“	31	5	15	11	32—44	25
„დაუგავა“	30	6	9	15	28—42	21
„ყუბანი“	30	7	7	16	25—47	21
„იალბუზი“	30	4	5	21	25—58	13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონი მრავლობით რიცხვში

მას, ვინც ძალოსანთა შეჯიბრებას დასწრებია, უთუოდ ჩარჩებოდა მეხსიერებაში ასეთი სურათი: ათლეტი ფიცარნაგზე გამოდის, სადღაც უკან კი მისი „მცველი“ — მწვრთნელი დგას. საკმარისია სპორტსმენმა იარაღს ხელი მოჰკიდოს, რომ ეს მოძრაობა მყისვე „გადაეცემა“ მასწავლებელს, რომელიც მაშინვე იძაბება და მზადაა გონებაში ერთხელ კიდევ გადაიმეოროს ყველაფერი, რასაც მოწაფეს ასწავლიდა. შტანგა მკერდის სიმაღლემდე რომ ადის, მწვრთნელიც უკან ხრის ტანს, გეგონება თავისი მხრებით უნდა აზიდოს ეს მძიმე ტვირთიო. აი, შტანგა სპორტსმენის გამართულ მკლავებზე „თრთის“ და მხოლოდ უკანასკნელი გაბრძოლებაღაა საჭირო წონის ფიქსირებისთვის. „მიდი, მიდი!“ დრამატული ჩურჩულით მოუწოდებს მწვრთნელი თავის მოწაფეს და ეს ჩურჩული მთელ დარბაზს ესმის...

— ასეთ წუთებში, — ღიმილით ამბობს ჩემპიონთა სახელგანთქმული მასწავლებელი, წარსულში არანაკლებ ცნობილი ძალოსანი რუდოლფ პლიუკფელდერი, — მაჯისცემის სიხშირე წუთში 120 დარტყმას აღწევს, მაღალი წნევა კი 160-მდე ამივარდება ხოლმე. ასე რომ, კაცმა არ იცის, ვისი ხვედრი უფრო მძიმეა — მწვრთნელისა თუ სპორტსმენისა.

გზა სპორტული ოლიმპისკენ იოლი არ იყო. ამას წინათ გამოცემული ცნობარი „სპორტის ვარსკლავები“ მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ პლიუკფელდერი იყო ევროპის სამგზის ჩემპიონი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიგო. მას 13 მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული.

მაგრამ ესაა მხოლოდ ზოგადი შტრიხები პლიუკფელდერის სპორტული ცხოვრებისა. თავიდან კი ყველაფერი დაიწყო... ექიმების „განაჩენით“. მათ ერთსულოვნად დაასკვნეს, რომ 19 წლის მეშახტეს გულის მანკი ჰქონდა. იქვე შეიმუშავეს შემდგომი ცხოვრების „რეცეპტიც“ — მსუბუქი სამუშაო მინიმალური ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვით. კეთილმა ადამიანებმა ურჩიეს, სულით არ დაეცეო. მათ ასწავლეს, რომ გულის დაავადების პირველი და უებარი წამალი სპორტია. ჯერ ჭიდაობაში დაიწყო ვარჯიში, სამი წლის შემდეგ კი, როცა ჯანი საბოლოოდ გაიკაჟა, ყველაზე ღონიერთა სპორტზე — ძალოსნობაზე მიიტანა იერიში. ეს სახეობა განსაკუთრებით უყვართ მეშახტეებს.

დიახ, მეშახტეებს, თუმცა ეს შეიძლება პარადოქსადაც მოგეჩვენოთ. მათი შრომა საბოლოოდ თანამედროვე მექანიზაციამაც კი ვერ შეამსუბუქა და მართლაც ძალიან უნდა გიყვარდეს სპორტი, რომ მთელი დღის ქანცგამწყვეტი შრომის მერე საწვრთნელ დარბაზში მიხვიდე, ფოლადის იარაღს შეეჭიდო (პირველ ეტაპზეც კი ერთი მეცადინეობის ნორმა რამდენიმე ტონას აღწევს). ეს სიყვარული მარადიული, მაგრამ ძალზე „მომთხოვნიც“ არის. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, ორი ოლიმპიადის გმირმა ძალოსნობაში, ამჟამად მედიცინის პროფესორმა არკადი ვორობიოვმა ერთხელ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად თქვა: სანამ სარბიელზე გამოვდიოდი, არც ერთი სპექტაკლი თავიდან ბოლომდე არ მინახავსო. იგი თურმე იძულებული იყო, დანარჩენ მაყურებელთა გასაკვირად, შუა გზაზე მიეტოვებინა წარმოდგენა, რათა ღამის 10 საათზე უკვე ლოგინში წოლილიყო. ასე უკარნახებდა სპორტული რეჟიმი. ცნობილი ძალოსნის ამ ნაამბობში უფრო მეტი სიმართლეა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

დიდი გამარჯვების სიხარული რუდოლფ პლიუკფელდერმა პირველად ოცდაათი წლისამ განიცადა, როცა ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ჯერ კიდევ მაშინ, ციმბირში, მეშახტეთა ქალაქ კისელევსკში ცხოვრების დროს მიხვდა იგი, რომ ბედნიერების შეგრძნება სრული არ იქნება, თუ შენს ცოდნას ამხანაგებს, შენი სექციის წევრებს არ გაუზიარებ. ასე იქცა ჩემპიონი, დღევანდელ სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, მოთამაშე-მწვრთნელად. პლიუკფელდერი აკვირდებოდა, იგონებდა ახალ ხერხებს წვრთნისთვის, სწავლობდა სპორტსმენთა მომზადების მეთოდიკას, ეძებდა გზებს სარეკორდო ჰორიზონტებისკენ. მაგრამ ყველა ვარიანტი მას კიდევ ერთხელ არწმუნებდა, რომ დიდი წარმატება მხოლოდ დიდი შრომის ნაყოფი შეიძლება იყოს. აი, საიდან იღებს სათავეს სახელგანთქმული პლიუკფელდერის სკოლა, რომელიც დღეს ცნობილია მთელი სპორტული სამყაროსთვის, რომელიც შემდეგ მეშახტეთა მეორე ქალაქის — შახტის მკვიდრი გახდა, ახლა კი ქარხანა „როსტსელმაშის“ სპორტულ კლუბში გადაინაცვლა.

დიახ, ლაპარაკია სწორედ სკოლაზე, რომელმაც თვით პლიუკფელდერის ჩათვლით (იგი დამოუკიდებლად მეცადინეობდა) ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი აღზარდა. მათგან ორმა — ნიკოლოზ კოლესნიკოვმა და დავით რიგერტმა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური მონრეალის თამაშებში დაიკავეს.

პლიუკფელდერს საოცარი ნიჭი აქვს ტალანტის მიგნებისა. მორიდებულ ახალბედაში მას რაღაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ალღოთი შეუძლია გამოიცნოს პოტენციური ჩემპიონი. ასე „აღმოაჩინა“ მან ალექსეი ვახონინი, ასე „იპოვნა“ რიგერტი, რომელსაც შემთხვევით შეხვდა ერთ-ერთ სპორტულ შეკრებაზე შვიდი წლის წინათ. რაც შეეხება ნიკოლოზ კოლესნიკოვს, ეს მორიდებული ბუგულმელი სტუდენტი თავიდან მაინცდამაინც მაღალი შედეგებით ვერ დაიტრაბახებდა. როცა მწვრთნელმა თავისთან მიიწვია სამეცადინოდ, ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ნიკოლოზს დიდხანს ეგონა, ვიღაც გამეხუმრაო.

მაგრამ ნიჭი მხოლოდ თვითნაბადია. მწვრთნელს იუველირის ხელოვნება მოეთხოვება, რათა საბოლოოდ დახვეწოს იგი, შეუხედავი ქვა მოელვარე ბრილიანტად აქციოს. მართალია, ამას წლები სჭირდება, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის დაუკრეფია! გახსოვთ რიგერტის მარცხი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში? მაშინ დავითმა, რომელიც ბევრად წინ იყო თავის მეტოქეებზე, მთავარ მოძრაობაში — ატაცში ნული მიიღო. ამით მან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო არა მარტო თავისი თავი და მწვრთნელი, არამედ მთელი გუნდიც, რომელსაც გამარჯვების იმედი ჰქონდა. თვით ყველაზე მტკიცე ხასიათის სპორტსმენსაც კი ასეთი მარცხი მორალურად გასტეხდა, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. ამაში დიდი დამსახურება მიუძღოდა მწვრთნელს — რუდოლფ პლიუკფელდერს, რომელმაც არა მარტო შტანგის აწევა ასწავლა თავის მოწაფეებს, არამედ განსაკუთრებული თავშეკავებისა და გამძლეობის საიდუმლოსაც ფლობდა, რისთვისაც თავის დროზე „რკინის პლიუკფელდერს“ უწოდებდნენ.

თავის დროზე რაღაც ამის მსგავსი თვით ჩემპიონთა მასწავლებელსაც შეემთხვა. 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებში პლიუკფელდერი, მსოფლიოში საუკეთესო საშუალო წონის ძალოსანი, ფიცარნაგზე გამოსვლის წინ მოულოდნელად ავად გახდა რადიკულიტით. ექიმების ყველა ცდა ამაო გამოდგა, სპორტსმენის გამოსვლა კი, რომელთანაც ამდენი იმედი იყო დაკავშირებული, გადაიდო ოთხი წლით. ახლა მას უნდა დაეცადა ტოკიოს თამაშებისთვის და 36 წლის კაცს თვალნათლივ დაემტკიცებინა ოლიმპიურ ფიცარნაგზე თავისი უპირატესობა, მიეღო მისთვის განკუთვნილი ოქროს მედალი და მწვრთნელის საპატიო ვალი ეტვირთა.

პლიუკფელდერის წინაშე „ფიცარნაგთან განშორების“ საკითხი არ დამდგარა. იგი ბრძენი კაცის თვალით „გარედან“ უყურებდა იქ მომხდარ ამბებს და თვითონ აღარ გამოდიოდა. შეწყვიტა გამოსვლა. შეწყვიტა, მაგრამ მაინც იქვე, გვერდით დარჩა. მისი გვარიც კი ისევ იწერებოდა, შეჯიბრებათა ოქმებში, ოღონდ ახლა მწვრთნელის გრაფაში. მერე კი, როცა ჩემპიონთა მასწავლებლების დაჯილდოებაც დაიწყეს, პლიუკფელდერმა კიდევ უფრო გაამდიდრა თავისი დიდი კოლექცია. ჩემპიონთა მასწავლებლის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ძალოსნობასთან. განსხვავება მხოლოდ ესაა: თუ წინათ მის პირად შეუპოვრობაზე, შრომისმოყვარეობაზე, თავგანწირვასა და განსაკუთრებულ ხელწერაზე ლაპარაკობდნენ, ახლა ყველაფერ ამას იხსენიებენ მრავლობით რიცხვში, რადგან მთლიანად პლიუკფელდერის სკოლის წარმომადგენლებს გულისხმობენ.

ი. ხრომოვი
(ტასს-ის კორ.).

უყურადღებოდ მიტოვებული მოედნები

ხუთ წელზე მეტია, რაც სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ ამავე სოფლის რვაწლიანი (ამჟამად კი საშუალო) სკოლას ათას კვადრატულ მეტრამდე მიწის ფართობი გამოუყო. აქ მოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სარბენი ბილიკი და სახტომი ორმო. მაგრამ გავიდა ხანი და ეს სპორტული ბაზა გაპარტახდა. საწყენია, რომ ასეთი კარგი სპორტული მოედნები უყურადღებოდაა მიტოვებული. ვფიქრობთ, სკოლის დირექცია და ფიზკულტურული ორგანიზაცია გადამჭრელ ზომებს მიმართავენ სპორტული ბაზის აღსადგენად.

ა. ანასაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სხვიტორი,
საჩხერის რაიონი.

სპორტული ზესტაფონი

სოფელ კლდეეთის კოლმეურნეობის საფეხბურთო მინდორზე გაიმართა ვეტერან და ახალგაზრდა მოთამაშეთა შეხვედრა.

საინტერესო თამაში დამთავრდა ახალგაზრდების გამარჯვებით — 2:1.

• • •

როდინოულის საბჭოთა მეურნეობის სპორტულ ბაზაზე მოეწყო შეხვედრები ფეხბურთში, სადაც მიწვეული იყვნენ ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და პირველი სვირის სანერგე საბჭოთა მეურნეობის გუნდები.

ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებელთა შორის. როდინოულის ფეხბურთელებმა დაამარცხეს მეორე სვირისა (2:1) და პირველი სვირის (1:0) გუნდები და ფრედ ითამაშეს ზესტაფონელებთან — (0:0). ახლა მასპინძელთა რონ-ში გამოვლენ სტუდენტი ფეხბურთელები, რომლებმაც თავიანთ მინდორზე უნდა მიიწვიონ მეტოქეები.

ა. ბანუზრავა
(ჩვენი კორ.).

ამ დღეებში კრილატსკში მოეწყო დელტოპლანერისტების შეჯიბრება შორს ფრენასა და ზუსტ დაშვებაში.
სურათზე: დელტოპლანზე საჩვენებელი ფრენის მომენტი.
ე. ვოლკოვის ფოტო („კომსომოლსკაია პრავდა“).

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

პირველი ზარი — პირველი ვარჯიში

პირველი ზარის წკრიალმა მეცადინეობის დაწყება ამცნო არა მარტო სასკოლო კაბინეტებსა და კლასებს. დონეცკში „დინამოს“ აუზში ახალი სასწავლო წლის პირველ საწვრთნელ მეცადინეობაზე მოვიდნენ ბავშვები მე-18 სკოლაში ორგანიზებული ცურვის სპეციალიზებული კლასებიდან.

პირველი ასეთი სპორტული კლასი ამ სკოლაში ერთი წლის წინ ჩამოყალიბდა. ეს დრო საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ცურვის მხურვალე თაყვანისმცემლები გამხდარიყვნენ პედაგოგებიც, მშობლებიც და, რა თქმა უნდა, მოსწავლეებიც.

ყოველდღიურმა წვრთნამ, შესაქცევმა შეჯიბრებებმა ფიზიკურად გააკაჟა ბავშვები. ყოველი მათგანი თანრიგოსანია. ბიჭებისა და გოგონების მასწავლებლებმა კი უკრაინის დამსახურებული მწვრთნელის ვ. იგონტოვის ხელმძღვანელობით უკვე ამოარჩიეს ყველაზე ნიჭიერები. „სპორტში მეცადინეობა ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას, საერთო საქმით გატაცებული ბავშვების შემჭიდროებას და მეგობრობას, — ამბობს სკოლის დირექტორი ტ. ბაბენკოვა, — ეს კი შესამჩნევად ეხმარება ბავშვებს სწავლაში“.

სულ დონეცკის ოლქის სკოლებში ამ სასწავლო წელს გაიხსნება 18 სპეციალიზებული სპორტული კლასი, სადაც მოსწავლეებს გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით საშუალება ექნებათ ივარჯიშონ ტანვარჯიშში, კრივში, მძლეოსნობაში, ჭიდაობასა და სპორტის სხვა სახეობაში.

ი. იურისი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

მძლეოსნობა. კუს ტბის მიდამოები. კვირას. საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები. დასაწყისი 11 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა ორშაბათისა და პარასკევისა
რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისათვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52
განყოფილებები: [illegible] — 93-97-55
[illegible] — 99-58-47 93-97-53
[illegible] — 99-81-71 93-97-56
[illegible] — 93-97-57 [illegible] — 93-97-51, [illegible] — 93-97-54
[illegible] — 93-97-59
[illegible] — 93-97-58
[illegible] — 93-93-81 [illegible] — 93-97-49